

დაუყოვნებლივი გამოქვეყნებისთვის

8 მაისი, 2008 წელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ნინო ვარდოსანიძე +995 77 554-055, nino@ndi.ge
ან ქეთი გესთი ვაშინგტონში kgest@ndi.org,
+1-202-728-5535

პოლიტიკური პარტიების აქტივისტთათვის NDI-ის მიერ შემუშავებულმა ქცევის კოდექსმა აამაღლა პოლიტიკური კულტურის სტანდარტები, მაგრამ საჭიროა შემდგომი მონიტორინგი

თბილისი – “ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ქცევის კოდექსზე ხელის მომწერმა პოლიტიკურმა პარტიებმა მიაღწეს პროგრესს 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში პარტიული აქტივისტების ანგარიშვალდებულების მხრივ. თუმცა კვლავ საჭიროა აქტიური მონიტორინგი კოდექსის დარღვევების პრევენციისა და საუკეთესო პრაქტიკის წასახალისებლად,” განაცხადეს დღეს NDI-ის პრეს-კონფერენციაზე.

11 აპრილს, NDI-იმ გამოაქვეყნა ქცევის კოდექსი პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელსაც ხელი მოაწერა ცხრა პოლიტიკურმა პარტიამ. კოდექსის მიხედვით, პარტიებმა განაცხადეს თანხმობა აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთი ლიდერების, კანდიდატების, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების, საარჩევნო დამკვირვებლების და აქტივისტების ქცევაზე. როგორც ითქვა დღევანდელ პრეს-კონფერენციაზე, NDI-იმ განიხილა საჩივრები შესაბამის პარტიებთან და მოუწოდა მათ დაუყოვნებლივი და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმისკენ კოდექსის შესასრულებლად.

“NDI მიესალმება ხელმომწერი პარტიების აქტიურ ჩართულობას საჩივრების აღძვრის და მათზე რეაგირების პროცესში,” განაცხადა მერი ო'ჰეგანმა, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა, “კოდექსის მონიტორინგი გაგრძელდება და ანგარიშები მის შესრულებაზე ისევ გამოქვეყნდება.”

“ამ დრომდე, NDI-იმ მიიღო 34 საჩივარი ექვსი პარტიისგან. ასევე, თვალყურს ვადევნებთ 10 სხვა ინციდენტს, რაც გაშუქდა მედიის მიერ. ამ შემთხვევებიდან 20 - დაიხურა, რადგან არ იყო წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება ან პარტიებმა მიიღეს შესაბამისი ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად,” განაცხადა მერი ო'ჰეგანმა.

მიღებული საჩივრები ეხება შემდეგი სახის დარღვევებს:

- საარჩევნო ოფისების გახსნასა და მუშაობასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება საარჩევნო მიზნით;
- ზეწოლა კანდიდატებზე;
- შეზღუდვა ბილბორდებთან დაკავშირებით;
- შეზღუდვა ამომრჩეველთა სიების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
- ზეწოლა ბიზნესზე პარტიისთვის შეწირულობების მიღების მიზნით;
- შეუფერებელი საპროტესტო აქციები;
- ზეწოლა საჯარო მოხელეებზე;
- ზეწოლა და თავდასხმა პარტიულ აქტივისტებზე; და
- შეურაცხყოფელი განცხადებები.

მერი ო'ჰეგანმა, ხაზი გაუსვა ორ შემთხვევას. პირველ შემთხვევაში ვალერი გიორგობიანს, მმართველი პარტიის კანდიდატს, ბრალი დაედო საჯარო მოხელეებზე ზეწოლაში და, შედეგად, მისი კანდიდატურა მოიხსნა არჩევნებიდან. “NDI ცალსახად უჭერს მხარს პრეზიდენტის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც მოჰყვა ბატონი ვალერი გიორგობიანის კანდიდატურის მოხსნას,” აღნიშნა მერი ო'ჰეგანმა, “ფაქტი, რომ კანდიდატი გადადგა მის მიერ საჯარო მოხელეებზე ზეწოლის შესახებ ბრალდებების გამოქვეყნისთანავე, კარგი მაგალითია იმისა, რომ მსგავსი ქცევა დაუშვებელია.”

მეორე შემთხვევაში, გაერთიანებული ოპოზიციის აქტივისტები, სხვებთან ერთად, მართავდნენ საპროტესტო აქციას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ლევან თარხნიშვილის სახლთან. “NDI მოუწოდებს კოდექსზე ხელმომწერ ყველა პარტიას პასუხისმგებლობით გამოიყენონ პროტესტის უფლება,” განაცხადა მერი ო'ჰეგანმა, “საპროტესტო აქციები საჯარო მოხელეების სახლებთან არ არის მიზანშეწონილი. ვიმედოვნებთ, პარტიები არ გამართავენ საპროტესტო აქციებს კერძო სახლებთან და გადახედავენ არჩევნების დღეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დაგეგმილი საპროტესტო აქციის იდეას, რათა არ მოხდეს საარჩევნო პროცესის შეფერხება.”

- დასასრული -

რედაქტორებისთვის

პოლიტიკური პარტიების აქტივისტთა ქცევის კოდექსი საპარლამენტო არჩევნებისთვის

ქვემოთ ხელის მომწერმა პოლიტიკურმა პარტიებმა მიაღწიეს შეთანხმებას საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI) საქართველოს - 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს მათი აქტივისტების საქმიანობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე. მათი მიზანია ხელი შეუწყონ ქცევის წესების ჩამოყალიბებას და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას. ამ დოკუმენტზე ხელის მომწერი ყველა პარტია უერთდება ქვემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს და აღიარებს ამ შეთანხმების სავალდებულოებას მათი ლიდერებისთვის, კანდიდატებისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი წარმომადგენლებისთვის და აქტივისტებისთვის. ისინი იღებენ ჩამოთვლილი დებულებების პარტიის შიგნით გამოქვეყნების და განხორციელების ვალდებულებას. ამ შეთანხმებაზე ხელის მომწერი პარტიები ითანამშრომლებენ ვალდებულებების შესრულებასთან და ნებისმიერი სახის უთანხმოებასთან დაკავშირებით.

1. ზოგადი დებულებები

1. პარტიებმა პატივი უნდა სცენ ამ შეთანხმებას, საარჩევნო კოდექსს და სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებსა და დებულებებს.
2. პარტიებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი დისციპლინარული მექანიზმები, რათა თავიდან აიცილონ ამ შეთანხმების დარღვევა და ხელი შეუწყონ მის შესრულებას.
3. ნებისმიერი კანონდარღვევის შესახებ უნდა ეცნობოს შესაბამის უწყებას.

2. საარჩევნო კამპანია

1. საარჩევნო კამპანიის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა პარტიის თავისუფალი მონაწილეობის უფლება. ნებისმიერი სახის ზეწოლა დაუშვებელია.
2. საარჩევნო კამპანიის დროს პარტიებმა თავი უნდა აარიდონ ქსენოფობიურ და ღირსებისშემლახველ განცხადებებს.
3. პარტიებმა არ უნდა შეუშალონ ხელი ჟურნალისტებს პროფესიული მოვალეობის განხორციელებაში.
4. საარჩევნო კამპანია არ უნდა მოახდინოს მოქალაქეთა ხმებზე არასამართლიანი გავლენა, მაგალითად ხმების მოგროვების მიზნით დამსაქმებელთა მხრიდან დასაქმებულთა ზეწოლის სახით.
5. დაცული უნდა იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების უფლებები. ეს გულისხმობს ნებისმიერი საქმიანობის აკრძალვას, რაც ხელს შეუშლის მათი საქმიანობის თავისუფალ და მიუკერძოებელ განხორციელებას.

6. პარტიები არ შეუშლიან ხელს ოპონენტებს საარჩევნო შტაბების შექმნასა და მათ შეუფერხებელ მუშაობაში .
 7. პარტიები არ გამართავენ ღონისძიებებს, ან სხვა სახის აქციებს, რაც ხელს შეუშლის მათი ოპონენტების დემონსტრაციებს, არამედ პარტიებს ექნებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, რათა გამოირიცხოს მათ მომხრეებს შორის დაპირისპირება.
3. არჩევნების დღე
1. პარტიებმა, მთელი თავიანთი საქმიანობით, უნდა უზრუნველყონ საარჩევნო პროცესის თავისუფლება და სამართლიანობა. ეს მოიცავს საარჩევნო უბნებზე აგიტაციისგან, ასევე საარჩევნო უბნებზე თუ უბნებს გარეთ ისეთი ქმედებისგან თავის შეკავებას, რაც შეაფერხებს საარჩევნო პროცესს და არასამართლიან ზეგავლენას მოახდენს ამომრჩეველთა ხმებზე.
 2. ყველა ღონის საარჩევნო ადმინისტრაციაში პარტიული წარმომადგენლები უნდა მოქმედებდნენ საჯარო, და არა ვიწრო პარტიული, ინტერესებიდან გამომდინარე. პარტიები უზრუნველყოფენ, რომ მათი წარმომადგენლები კარგად იცნობენ შესაბამის კანონებს, იმისათვის რომ სათანადოდ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა.
 3. არჩევნების მიმდინარეობისას პარტიული დამკვირვებლები იხელმძღვანელებენ საარჩევნო კოდექსით. პარტიები უზრუნველყოფენ თავის წარმომადგენლებს საკმარისი ინფორმაციით კანონმდებლობის შესახებ რათა მათ შეძლონ თავიანთი მოვალეობის სათანადოდ შესრულება.
 4. ამ შეთანხმებაზე ხელის მომწერი პარტიები აღიარებენ საარჩევნო საჩივრების მიუკერძოებლად განხილვის პროცესის მნიშვნელობას და იღებენ სრულ პასუხისმგებლობას, შეიტანონ და გააკონტროლონ საჩივრების განხილვის პროცესი ოფიციალური არხებით, თუ მათ დააფიქსირეს რაიმე სახის დარღვევა საარჩევნო პროცესში.

შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა უკვე მოაწერეს ხელი ქცევის კოდექსს:

- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- კონსერვატიული პარტია
- მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
- პარტია “თავისუფლება”
- პოლიტიკური გაერთიანება “მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის”
- რესპუბლიკური პარტია
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია
- ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშგაღებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org